# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

## №139

17 11 2016 წელი

ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების გენერალური დირექტორი შორენა არჯევანიძე (შემდგომში დამკვეთი) და მეორე მხრივ ფ/პირი ქეთევან საგინაშვილი მცხოვრები ქ. მცხეთაში ბარათის პირადი №31001000710 /შემდგომში შემსრულებელი/ ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების ობიექტია შეუფერხებლად და ხარისხიანად უზრუნველყოს გაერთიანების კანცელარიის და გაერთიანების საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების 2016 წლის დოკუმენტაციების 23 წიგნად შეკერვა სულ თანხით 299 (ორას ოთხმოცდა ცხრამეტი) ლარი.

**CPV** კოდი 79900000 – 299.00 ლარი

### 2. შესრულების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების ვადაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 10 კალენდარული დღის ვადაში
2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 299 (ორას ორმოცდასამი) ლარს.

### 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2 შემსრულებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების შესრულების აქტის საფუძველზე.
3.3 შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში

### 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 დამკვეთის მხრიდან შესრულების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ: შ.არჯევანიძე მ. უფლისაშვილი და ქ.ხეოშვილი.
4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული შესრულების აქტის გაფორმების შემდეგ

### 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულების ყველა პირობა და განახორციელონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
5.2 შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უმაღლეს დონეზე.
5.3 დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

### 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 ხელშეკრულების არშესრულების შემთხვევაში დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.2 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს ქ.მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი შ.არჯევანიძე.

### 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ანდა დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

### 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შემდეგ იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკურლების შეწყვეტის შესახებ.

436036362

8.4 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლოის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 10. ფორსმაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით (ხანძარი, წყალდიდობა და სხვა სტიქიური მოვლენები, ომები, ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა) თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.მხარე რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება , დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 11 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება კანონმდებლობით.
11..2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 28 2016 წლის დეკემბრამდე.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

## მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**დამკვეთი**

ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება
ს/კ 436036362

მიმღების ბანკი სახელმწიფო ხაზინა

ბ/კ TRSEGE22

მის: მცხეთა, მამულაშვილის ქ.12

ტელ: 2 51 25 69

გაერთიანების გენერალური
დირექტორი: შ. არჯევანიძე

**შემსრულებელი**

ფ/პირი ქეთევან საგინაშვილი
ანგ. №GE51LB0711105927521140

ს.ს "ლიბერთი ბანკი"

ბ/კ LBRTGE22

მისამართი ქ. მცხეთა
ტელ: 595 28 86 15

პარადის №13IN57895

პირადი №31001000710

ფ/პირი ქეთევან საგინაშვილი

## ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.მცხეთა 17.11.16წ

ა(ა)იპ თვითმართველი ქ. მცხეთის მონიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი შორენა არჯევანიძე და ფ/პირი ქეთევან საგინაშვილი ვადასტურებთ, რომ ჩვენს მიერ საქონლის შეკერილი წიგნები (კოდი-79900000) შეძენა-მიწოდების შესახებ გამარტივებულ შესყიდვაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011წ. 07.04 №9 ბრძანების გამარტივებული შესყიდვების შესახებ. ასევე, არ ეწინააღმდეგება ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესს (№17 მუხლი). აქედან გამომდინარე, ორივე მხარე არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

გაერთიანების დირექტორი: შ. არჯევანიძე

ფ/პირი: ქ. საგინაშვილი